<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის ქუჩისთვის და „დ“ ქუჩისთვის მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, წნორისწყლის ქუჩას და „დ“ ქუჩას მიენიჭოს მსახიობის აკაკი ვასაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:490135 Y:4615508
X:490143 Y:4615476
X:490138 Y:4615467
X:490216 Y:4615259
I შეს
X:489963 Y:4615257
X:490214 Y:4615218
აკაკი წერეთლის ქ.
X:490205 Y:4614736
N
1:4,500

ახმეტელის
თეატრი

AKHMETELI
THEATRE

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გლდანის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს,

ბატონ კონსტანტინე ზარნაძეს

ბატონო კონსტანტინე,

მოგეხსენებათ თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი მდებარეობს გლდანში, აკ. ვასაძის ქუჩაზე. სანდრო ახმეტელი რეფორმატორი ქართველი რეჟისორი იყო, მისი ღვაწლი ქართული თეატრისა და კულტურის ისტორიაში გამორჩეულია, ახმეტელი ქართულ, ეროვნულ ნიადაგზე შლიდა შემოქმედებას და ქმნიდა განუმეორებელ თეატრალურ ხელოვნებას.

მოგმართავთ სანდრო ახმეტელის თეატრის დასის სახელით. გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდების და სიმბოლიკის კომისიასთან, რომ ქუჩას, სადაც მდებარეობს სანდრო ახმეტელის თეატრი - შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს სანდრო ახმეტელის ქუჩა (აკაკი ვასაძის ქუჩის ნაცვლად).

პატივისცემით,

თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრის დირექტორი,

თამაზ ჯაფარიძე

14.02.2023

მის: აკ. ვასაძის ქ. 14
ტელ: 032 2657277

Add: Ak. Vasadze Str. 14
Tel: 032 2657277

Email: theatreakhmeteli@gmail.com
Web: www.akhmetelitheatre.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032312169**
თარიღი: **01/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრის კონსტანტინე ზარნაძის 2023 წლის 15 თებერვლის საქმე #11-032304677-03 დაკავშირებით, რომლითაც სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრის დირექტორის თამაზ ჯაფარიძის მიმართვის საფუძველზე გვთხოვს აკაკი ვასაძის ქუჩის სახელის ცვლილებას და სანდრო ახმეტელის სახელის მინიჭებას.
საქმისწარმოების პროცესის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ აკაკი ვასაძის ქუჩის, სანდრო ახმეტელის ქუჩის და წნორისწყლის ქუჩის სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01231223943**
თარიღი: **02/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 01.05.2023 წლის #03-032312169 (01.05.2023 წ. #14-01231212810-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. 3 დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

აკაკი ვასაძე

(1899-1978)

მსახიობი, რეჟისორი

დაიბადა 1899 წელს ქუთაისში. 1917 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1920 წელს დაამთავრა გიორგი ჯაბადარის დრამატული სტუდია თბილისში. 1916 წელს დაიწყო სასცენო მოღვაწეობა ქუთაისის თეატრში. 1921 წელს სამხედრო-სავალდებულო სამსახურს გადიოდა პირველი რესპუბლიკის ჯარში. ასპინძის მე-9 ათასეულის შემადგენლობაში მონაწილეობდა 1921 წლის მარტის ბათუმის ბრძოლაში.

1920-1958 წლებში მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში. 1935-1955 წლებში იყო ამავე თეატრის, ხოლო 1958-1968 წლებში იყო ქუთაისის მესხიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. 1923 წლიდან მოღვაწეობდა კინოში. მის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: შაჰ-აბასი („გიორგი სააკაძე“), მამასახლისი („მაგდანას ლურჯა“), ფარსმან სპარსი („დიდოსტატის მარჯვენა“). 1926 წლიდან ეწეოდა რეჟისორულ მოღვაწეობას.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.